დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს *2018* წლის *7* მაისის *N10/2018* გადაწყვეტილებითა და
თჰუ რექტორის *2018* წლის *7* მაისის *N92/07* ბრძანებით

მოდიფიცირებულია თჰუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 აპრილის N07
გადაწყვეტილებით

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის მისია. საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებისათვის უნდა ქმნიდნენ საჭირო აკადემიური და პროფესიული ცოდნის მიღების, ასევე პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების პირობებს.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის მიერ.
3. ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყების თაობაზე, შესაბამისი, მათ შორის, ფინანსური დასაბუთებით, წარედგინება აკადემიურ საბჭოს.
5. აკადემიური საბჭო იწონებს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტლებას ან უფლებამოსილია დაიწუნოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, მოტივირებული შენიშვნებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება იწყება აკადემიური საბჭოს მიერ მოწონების შემთხვევაში.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს წარმართავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და მის მიერ დამტკიცებული აკადემკური პროგრამების განვითარების დარგობრივი კომისია; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების დარგობრივი კომისიის შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია „აკადემიური პროგრამების

ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობის წესით“, რომელიც მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ. დარგობრივი კომისიის წინადადებით, ფაკულტეტის საბჭო, განსაზღვრავს პროგრამის სავარაუდო ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს და პროგრამის შემუშავების დასრულების შემდგომ, პროგრამასთან ერთად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

2. საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო ხელმძღვანელი არის საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის სავალდებულო წევრი;

3. ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი უნდა იყვნენ დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სხვა);

4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, დარგობრივი სტანდარტი (არსებობის შემთხვევაში) (www.eqe.ge), თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

5. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნები; უნივერსიტეტის პრიორიტეტები; გარე პარტნიორებთან კონსულტაციები (უკუკავშირი); დარგის სპეციფიკა; საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები;

6. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას:

ა) პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს;

ბ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა.

7. აკადემიური პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასაქმებასთან მიმართებაში. აკადემიურ პროგრამას ასევე შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული მისთვის პრიორიტეტულად მიჩნეული სამიზნე ნიშნულები რომელიმე სხვა პარამეტრთან მიმართებაში.

8. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ კრიტერიუმებს;
9. შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. აკადემიურ პროგრამას თან უნდა ახლდეს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი;
10. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება აკადემიურ საბჭოს; ფაკლულტეტის საბჭო უფლებამოსილია მოტივირებული შენიშვნებით დააბრუნოს უკან შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, შემდგომი გადამუშავებისათვის;
11. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის ფაკულტეტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.
12. საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენისა და აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, მისი ამოქმედების შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანებები.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და მასში ცვლილებების განხორციელების (მისი მოდიფიცირების) წესი
1. აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებიდან არაუადრეს პირველი სემესტრის დასრულებისა, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და მასში ცვლილებების განცორციელების ინიცირება, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
2. დაუშვებელია მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში, მიმდინარე სასწავლო სემესტრის მანძილზე ცვლილებების შეტანა (მოდიფიცირება); იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირდა მიმდინარე სემესტრის მანძილზე, იგი ძალაში შევა, მომდევნო სასწავლო სემესტრიდან;
3. საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი ცვლილება (მოდიფიცირება), ექვემდებარება ძალაში შესვლამდე სულ ცოტა 2 კვირით ადრე გამოქვეყნებას თჰუ ვებ-გვერდზე (www.thu.edu.ge);
4. საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, პროგრამის დარგობრივი კომისიის მიერ უცხოურ ანალოგებთან დადარების შედეგები (ბენჩმარკის შედეგები), სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები; პროგრამაში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება აგრეთვე გახდეს სააკრედიტაციო ან პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების (მოდიფიცირების) პროცესს წარმართავს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პროგრამ(ებ)ის განვითარების დარგობრივი კომისია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთობლივად, „აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და დარგობრივი კომისიების საქმიანობის წესის“ შესაბამისად;

პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირები. პროგრამის განმავითარებელი წინადადებები (საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროექტი) განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს;

6. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როგორიცაა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სილაბუსების მოდიფიცირება;

ბ) არჩევითი სასწავლო დისციპლინების დამატება;

გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემადგენლობაში ცვლილებები;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით ან/და ზოგადსაუნივერსიტეტო სხვა ისეთი აქტების მოდიფიცირებით, რომელიც უკვე განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ.

7. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ინფორმაცია მიეწოდება „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“;

8. აკადემიურ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშებში;

9. პროგრამაში განხორიცელებული ცვლილებების სისტემატიზაციის მიზნით მოდიფიცირების თაობაზე მონაცემები აისახება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე შესაბამისი გადაწყვეტილების (სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი) მითითებით.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს აკადემიური პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, აკადემიური პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა;

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ინიციატორი შეიძლება იყოს:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

3. საგანმანათებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭო, გადაწყვეტილების მიღებამდე, ვალდებულია მოისმინოს როგორც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ისე ფალკულტეტის საბჭოს პოზიცია აკადემიური პროგრამის გაუქმების თაობაზე;

4. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
5. იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმების სქემა

შეფასების ასპექტები	შეფასების კრიტერიუმები
1. ზოგადი მოთხოვნები	1.1. საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან; 1.2. საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის (პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები (არსებობის შემთხვევაში), დარგის ექსპერტები და სხვა) ჩართულობას; 1.3. პროგრამის შემუშვებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები/უნივერსიტეტის პრიორიტეტები/გარე პარტნიორებთან კონსულტაციები (უკუკავშირი)/ საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები; 1.4. პროგრამის ფორმა (დანართი #1) შევსებულია სრულად. წარმოდგენილია პროგრამის აღწერითი ნაწილი (პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ეროვნული საკვალიფკაციო ჩარჩოს შესაბამისი მიმართულება და დარგი / სპეციალობა, პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით, სწავლების ენა, საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი, ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ, სფეროს აღწერა, სწავლის შედეგები, პროგრამის დამტკიცებისა და განახლების შესახებ ინფორმაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ცოდნის შეფასების სისტემის აღწერა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, დასაქმების სფეროები, სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები, რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა, ინფორმაცია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესახებ, სტრუქტურა (განსაზღვრულია სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, კურსის წინაპირობები, სემესტრი, კურსის სტატუსი და ლექტორის ვინაობა). პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების რუკა; 1.5. პროგრამას ახლავს ყველა კომპონენტის სილაბუსი და მიღების მოთხოვნებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში); 1.6. პროგრამას აგრეთვე თან ახლავს პროგრამის შემუშავების პროცესში თანამშრომლობის შედეგად შექმნილი დოკუმენტაცია. მაგ: ბაზრის კვლევა, მემორანდუმები/კონტრაქტები/შეთანხმებები გარე პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, და ა.შ.), პროგრამის გარე შეფასების ანგარიშები და სხვა; 1.7. სილაბუსების ფორმა შევსებულია სრულად (განსაზღვრულია სასწავლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, მოცულობა, საათების რაოდენობა და მათი განაწილება, არსებობის შემთხვევაში კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები,

	მიზანი, სწავლის შედეგები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელი ლიტერატურა/რესურსები, თემატიკა კვირების მიხედვით).
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და მოთხოვნები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.
4. პროგრამის მიზნები	4.1. პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას; 4.2. პროგრამის მიზნები შესატყვისობაშია უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან; 4.3.პროგრამის მიზნები მიღწევადია, ნათლად და მკაფიოდაა ფორმულირებული (სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული მხარისათვის); 4.4. პროგრამის მიზანი ნათლად წარმოაჩნს პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზარზე.
5. პროგრამის სწავლის შედეგები	5.1. პროგრამის სწავლის შედეგები შესატყვისობაშია უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; 5.2. სწავლის შედეგები გაწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები; 5.3. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან (არსებობის შემთხვევაში); 5.4. სწავლის შედეგები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. აღწერის ფორმატი იძლევა მათი გაზომვის/შეფასების საშუალებას; 5. 5. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.
6. პროგრამის მოცულობა და სასწავლო დატვირთვა	6.1. პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა აღწერილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით; 6.2. პროგრამაში ECTS კრედიტების გამოყენება შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, მოქმედ რეგულაციებს, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი საფეხურის სტანდარტს/დებულებას და ECTS სახელმძღვანელო პრინციპებს; 6.3 პროგრამის კომპონენტებს შორის კრედიტები სწორად არის გადანაწილებული.
7. შეფასების წესი	7.1. პროგრამაში განსაზღრულია შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებასთან #3 (5. 01. 2007), უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესთან; 7.2. შეფასების სისტემა ნათლად არის გაწერილი, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	8.1. პროგრამაში განსაზღვრულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან და ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებს; 8.2. პროგრამით განსაზღვრული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
9. დასაქმების სფეროები	პროგრამაში განსაზღვრულია კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები. კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივა უზრუნველყოფილია პროგრამის მიზნებითა და შედეგებით.
10. რესურსები	10.1. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი; 10.2. აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით; 10.3. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ხარისხს; 10.4. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტის კონსულტირებას პროგრამის შესაბამისი კომპონენტების შინაარსთან, მოთხოვნებთან დაკავშირებით; 10.5. არსებული ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას; უზრუნველყოფს დაგეგმილი სტუდენტური კონდინტენგენტის მომსახურებას; 10.6. პროგრამის კომპონენტებში გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია; 10.7. პროგრამის სასწავლო თუ პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისა და განვითარების მიზნებისთვის გათვალისწინებულია გარე პარტნიორებთან, ოგრანიზაციებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობა. შესაბამისი რესურსები მითითებულია პროგრამაში; 10.8. პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი/ები, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე, მის შეფასებასა და განვითარებაზე. 10.9. პროგრამას ჰყავს კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელის მხარდაჭერას პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების და განვითარების პროცესში და სტუდენტების კონსულტირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებში.
11. პროგრამის სტრუქტურა	11.1. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია; 11.2. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია კომპონენტების არჩევითობა; 11.3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში.
12. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა	12.1. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში ლოგიკურად და რეალისტურადაა განსაზღვრული კომპონენტებით განვითარებული კომპეტენციები; 12.2. სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული კომპეტენციები შესაბამისობაშია სილაბუსებში/კონცეფციებში გაწერილ სწავლის შედეგებთან.
13. პროგრამის სილაბუსები	13.1. სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული; 13.2. სილაბუსებში სწავლის შედეგები გაწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით;

	13.3. კომპონენტის მოცულობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოცემულია საათების (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, შუალედური შეფასება, დასკვნით შეფასება, დამოუკიდებელი სამუშაო და ა.შ.) განაწილება; 13.4. ლოგიკურადაა განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობები (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში); 13.5. სილაბუსში გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები. შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებს და გამჭვირვალე კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების შესახებ; 13.6. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას; 13.7. სასწავლო კურსების შინაარსი (ძირითადი თემები, თემატიკა კვირების მიხედვით), სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; 13.8. სასწავლო კურსის განხორციელებისთვის განსაზღვრული რესურსები, აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გარე და შიდა შეფასების, ასევე აკადემიური პერსონალის ხარისხისა და აკადემიური პროგრამის განხორციელების შეფასებაში სტუდენტთა და დაინტერესებული პირების მონაწილეობის მექანიზმები და განხორციელების წესი განისაზღვრება „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემით“ (შემდგომში „შეფასების სისტემა“), რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მაისის N2/2013 გადაწყვეტილებით და ასევე - ამ აქტით;

2. საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს; აკადემიური პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმი გულიხსმობს უნივერსიტეტის მიერ საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდულ შეფასებასა და მონიტორინგს, რაც ემსახურება პროგრამების განვითარებასა და მათ მუდმივ გაუმჯობესებას.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი, გარდა, „შეფასების სისტემაში“ მოცემული აქტივობებისა, მოიცავს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ანალიზს და გადასინჯვას მოცემულ დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით;

ბ) საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზს;

გ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან განთესვის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას;

დ) საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზს;
ე) სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასებას მოცემული პროგრამის მიზნებთან.
4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები და მეთოდები:
ა) სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ;
ბ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ;
გ) დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.
5. პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მიზნებისთვის შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა ინსტუმენტები და მეთოდები.
6. შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (იხ. დანართი N1), რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის სტრატეგიას - შესაბამის მოქმედებებსა და ვადებს.

მუხლი 7. აკადემიური პროგრამის განხორციელების თვითშეფასების ანგარიში
1. აკადემიური პროგრამის განხორციელების თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენს შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამების შეფასების შედეგად ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და მიღებული მონაცემების საფუძველზე მიზნობრივი ინტერვენციების დაგეგმვას პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.
2. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება არის უწყვეტი პროცესი. საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ სასწავლო წელს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის და მომდევნო სემესტრს - ანგარიშის წარდგენისა და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.
3. აკადემიური პროგრამის თვითშეფასების პირველი საანგარიშო პერიოდი გამოყენებული უნდა იქნას საბაზო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება შესაბამისი სამიზნე ნიშნულები.
4. აკადემიური პროგრამის თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და მონაცემი. პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში უნდა მოხდეს შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან.
5. აკადემიური პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია ამ აქტით (იხ. დანართი N1).

<u>დანართი N1</u>

თვითშეფასების ანგარიში

პროგრამის სათაური:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:

სწავლების ენა:

პროგრამის ხელმძღვანელი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

ფაკულტეტი:

ფაკულტეტის დეკანი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

1. პროგრამისწინათვითშეფასების შედეგები
   მოკლედ შეაჯამეთ პროგრამის წინა თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი სუსტიმხარეებიდამათგასაუმჯობესებლადგატარებულიღონისძიებები შესაბამისი ვადების მითითებით.

2. პროგრამის მიმოხილვა
   პროგრამის მიმოხილვისთვისმიუთითეთ:
   - პროგრამის განხორციელების დაწყების წელი
   - პროგრამის მიზანი
   - პროგრამის სწავლის შედეგები (თუ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რამდენიმე კვალიფიკაციის მინიჭება, სწავლის შედეგები უნდა იყოს გაწერილი შესაბამისი კვალიფიკაციების მიხედვით)
   - პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა ან/და განვითარებაში ჩართული ადგილობირივი და საერთაშორისო პარტნიორები
   - პროგრამის სტრუქტურა

ცხრილი 1. პროგრამის სტრუქტურა

	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არ არჩ.)	პროფესორი/მ ვეული ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები		სემესტრები	
						საკონტ.	შემ.	გაზ.

- პროგრამის სწავლის შედეგების და კურსების/კომპონენტების შესაბამისობის რუკა (ქვემოთ მოცემული რუკის სახით წარმოადგინეთ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის კურსებთან/კომპონენტებთან ისე, რომ პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი იყოს ბმაში კონკრეტულ კურსთან ან კომპონენტთან. თითოეული სწავლის შედეგის/კომპეტენციის გასწვრივ მიუთითეთ, რომელ საანგარიშო პერიოდში არის დაგეგმილი მისი შეფასება)

ცხრილი 2. პროგრამის სწავლის შედეგების და კურსების/კომპონენტების შესაბამისობის რუკა

სწავლის შედეგი/კომპეტენცია	პროგრამის კურსი/კომპონენტი	საანგარიშო პერიოდი

პროგრამის სწავლის შედეგების და შესაბამისი კურსების/კომპონენტების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად ისე, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების ციკლის დასრულებამდე მოხდეს პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის/კომპეტენციის შეფასება. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის/კომპეტენციის შეფასება შესაძლებელია, განხორციელდეს სამი საანგარიშო პერიოდის ფარგლებში. ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - ორი საანგარიშო პერიოდის ფარგლებში.

3. პროგრამის მაჩვენებლები

- პროგრამაში აქტიური სტუდენტების საერთო რაოდენობა და მათი განაწილება სემესტრების მიხედვით.

ცხრილი 3.1. აქტიური სტუდენტების რაოდენობა საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	> VIII	სულ
სტუდენტების რაოდენობ										

ცხრილი 3.2. აქტიური სტუდენტების რაოდენობა სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	>IV	სულ
სტუდენტების რაოდენობ						

ცხრილი 3.3. აქტიური სტუდენტების რაოდენობა ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	> X	სულ
სტუდენტების რაოდენობ												

- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა იყოს შეგროვებული იმ კურსების/კომპონენტების მიხედვით, რომელთა შეფასება გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში. მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამამ უნდა განსაზღვროს ამ კურსების/კომპონენტების აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულები მომდევნო შეფასების ეტაპისთვის)
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები პროგრამით კმაყოფილების შესახებ (აღნიშნული გამოკითხვა ტარდება დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების მონაწილეობით. სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გრაფიკების ან ცხრილების სახით)
- პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები (შიდა და გარე მობილობა, სტატუსის შეწყვეტა)

ცხრილი 3.4. განთესვის მაჩვენებლები საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	> VIII	სულ
შიდა მობილობა										
გარე მობილობა										
სტატუსის შეწყვეტა										

ცხრილი 3.5. განთესვის მაჩვენებლები სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	III	IV	>IV	სულ
შიდა მობილობა						
გარე მობილობა						
სტატუსის შეწყვეტა						

ცხრილი 3.6. განთესვის მაჩვენებლები ერთსაფეხურიანიპროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	> X	სულ
შიდა მობილობა												

გარე მობილობა												
სტატუსის შეწყვეტა												

- სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები
- პროგრამის დასრულების მაჩვენებლები (დაგეგმილ პერიოდში, დაგეგმილზე ერთი წლის შემდეგ, დაგეგმილზე ორი წლის შემდეგ, დაგეგმილზე ორ წელზე გვიან)

ცხრილი 3.7. საბაკალავრო საფეხურის პროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	4 წელი	5 წელი	6 წელი	>6 წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა				

ცხრილი 3.8. სამაგისტრო საფეხურის პროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	2 წელი	3 წელი	4 წელი	>4 წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა				

ცხრილი 3.9. ერთსაფეხურიანიპროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	3 წელი	4 წელი	5 წელი	6 წელი	> 6წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა					

- დამსაქმებლების/პროგრამის პარტნიორების უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით (დამსაქმებლების უკუკავშირი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის; ყოველ 3 წელიწადში ერთხელ - სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის და ყოველ 6 წელიწადში ერთხელ - სადოქტორო საფეხურის პროგრამისთვის)
- დარგში არსებული უახლესი ტენდენციების გათვალისწინება პროგრამის შინაარსში (მოკლედ აღწერეთ, დარგის რა უახლესი ტენდენციები და როგორ იქნა გათვალისწინებული პროგრამაში)
- თანაფარდობები:
    - ❖ სტუდეტენტები და აკადემიურ პერსონალი
    - ❖ სტუდენტები და მოწვეული პერსონალი
    - ❖ სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი
    - ❖ აკადემიური და მოწვეული პერსონალი
    - ❖ სტუდენტები და პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსები (მაგ. ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.)

4. პროგრამაზე მიღება

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები
- მიღების მაჩვენებლები (პროგრამის საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიუთითეთ შესაბამისი მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან):
    - ❖ პროგრამაზე გამოცხადებული ვაკანსიების და განაცხადების რაოდენობა
    - ❖ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა

- ❖ ძირითადი პროგრამის არჩევის მაჩვენებლები
- ❖ ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებლები მისაღებ გამოცდებზე (ერთიანი ეროვნული გამოცდები, საერთო სამაგისტრო გამოცდები)
- ❖ სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები ძირითადი პროგრამის არჩევის დროისთვის

5. სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა

საბაკალავრო საფეხური

- საორიენტაციო შეხვედრები (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები)
- ფაკულტეტისმიერ სტუდენტების კონსულტირება პროგრამის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები)
- ჩატარებული მონიტორინგის შედეგები (მონაცემები) ლექტორების მხრიდან სტუდენტების შეტყობინებებზე რეაგირების შესახებ; სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები;

სამაგისტრო საფეხური

- საორიენტაციო შეხვედრები (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები)
- ფაკულტეტის მიერ სტუდენტების კონსულტირება პროგრამის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები)
- ჩატარებული მონიტორინგის შედეგები (მონაცემები) ლექტორების მხრიდან სტუდენტების შეტყობინებებზე რეაგირების შესახებ; სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები
- სტუდენტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა
- სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტთან დაკავშირებით (მათ შორის ხელმძღვანელთან, პროცესის ეფექტურ დაგეგმვასთან დაკავშირებით)
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მაჩვენებლები:
  - ❖ წარმოდგენილი სამაგისტრონაშრომების/პროექტების რაოდენობა
  - ❖ დაცული სამაგისტრო ნაშრომების/პროექტების რაოდენობა
  - ❖ დაცვისთვის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები/პროექტები, რომლებშიც დადგინდა პლაგიატი

6. პროგრამის შედეგები

- სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლები;

ცხრილი 6.1 სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლები დასაქმების მიხედვით

	სტაჟირების ფარგლებში	სპეციალობით	არასპეციალობით
სტუდენტების რაოდენობა			

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები (მათ შორის სპეციალობის მიხედვით) პროგრამის დასრულების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, პროგრამის დასრულების შემდეგ ორი წლის განმავლობაში, პროგრამის დასრულების შემდეგ ორზე მეტი წლის განმავლობაში. (მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები მომდევნო შეფასების ეტაპისთვის).

ცხრილი 6.2 კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები დასაქმების მიხედვით

	სტაჟირების ფარგლებში	სპეციალობით	არასპეციალობით
კურსდამთავრებულების რაოდენობა			

- კურსდათავრებულთა გამოკითხვის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების შესახებ

7. თვითშეფასების შედეგები

- პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი ძლიერი მხარეები
- პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი სუსტი მხარეები
- გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია-ინტერვენციები და ვადები.